603 ლ/ 10477


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 თებერვალი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 22 (10 191) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ბაკურიანი, ბაკურიანი...

**ბაკურიანის** ხსენება და ისიც ზამთარში ბევრს მხოლოდ მზიან ფერდობებზე თხილამურებით სრიალს მოაგონებს. ბევრს კი თავის ძირითად საფიქრალ-საკეთებელს შეახსენებს, დიდი ეროვნული საქმის მოგვარების აუცილებლობაზე ჩააფიქრებს. სწორედ ბაკურიანის ხვალინდელ დღეზე ზრუნვის, მისი განვითარების წამოწყებულ გრანდიოზული კომპლექსური მუშაობის საკითხებს მიეძღვნა კომკავშირის ახალგაზრდულ ბანაკ „მზიურ ველში“ 30 იანვარს გამართული თათბირი. მისი მონაწილენი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ბორჯომის რაიონის პარტიული მუშაკები, დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პრესის, ტელევიზიის მუშაკები — ისინი, ვინც მონაწილეობენ ე. წ. „დიდი ბაკურიანის“ გენერალური გეგმის სპორტული, ტურისტული და რაც მთავარია, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის ლამაზი, ჯანმრთელობის შესანიშნავი კერის აღორძინება-განაშენიანების ხორცშესხმაში.

თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი თენგიზ პეტრიაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი ზეზვა ღულუნიშვილი, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი დავით მანჯგალაძე, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ლომაძე, კურორტ ბაკურიანის დირექციის დირექტორი ოთარ გოცირიძე და სხვები.

მკაცრი, საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმ წილობრივი საუწყებო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრივ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ „დიდი ბაკურიანის“ მშენებლობაში. ითქვა, რომ თუ ორგანიზაციები წილობრივ თანხებს არ ჩარიცხავენ I კვარტალში, მაშინ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო საუწყებო სამინისტროებს ჩამოართმევს ბაკურიანის ტერიტორიაზე არსებულ მათ ბაზებს.

აღინიშნა, რომ ჩვენი მომავლის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია დროულად დამთავრდეს ბავშვთა სანატორიუმ „მზის სხივის“ მშენებლობა, უნდა შედგეს ხარჯთაღრიცხვა გაჭიანურებული დიდი 90-მეტრიანი ტრამპლინისა, რომლის უმოქმედობა დიდ დაღს ასვამს საქართველოს „მფრინავ მოთხილამურეთა“ შედეგებს.

დღეს ბაკურიანის (მალე მისი ნაწილი მიიღებს ბუნებრივ გაზს) თითოეული გოჯი მიწა ძვირად ფასობს, ამიტომაც მის გამოყენებას სათუთად და გეგმაზომიერად უნდა მოვეპყრათ. არ უნდა აშენდეს არც ერთი ობიექტი, არ მოხდეს არავითარი რეკონსტრუქცია სპეციალური ექსპერტიზის გარეშე.

— დიდი ბაკურიანის მშენებლობისათვის პირველი და აუცილებელი საფეხურია — მიწისქვეშა კომუნიკაციები თავისი გამწმენდი ბიოლოგიური ნაგებობებისა, ღ... კანალიზაციის გაყვანით, სასმელი წყლის (ე. წ. „ბექანოს წყლის“) გამოყვანა, გზების ახალი ტექნოლოგიური რეცეპტის (რაც გამორიცხავს ყინვისა და თოვლის დროს მათ დაზიანებას) გამოყენებას, უცხოელებთან მოლაპარაკებას ერთობლივი მშენებლობისათვის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების კერების მოწყობა, ფოსტა-ტელეგრაფისა და საერთოდ კავშირგაბმულობისათვის თანამედროვე სახის მიცემას. ეს იქნება ჩვენი დიდი გეგმის პირველი საფეხური. ამასთან, არ უნდა გამოგვრჩეს ბაკურიანის საკურორტო შემოგარენიც. ვამბობთ „სპორტი და ტურიზმი“, მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ ბაკურიანი უნდა აშენდეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისათვის. ძალზე მისასალმებელია ბორჯომის რაიაღმასკომის წინადადება ბაკურიანში დასახლდეს 50 ქართული ოჯახი — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ, რომელმაც შეაჯამა თათბირის შედეგები.

თათბირის მონაწილენი უახლოეს დღეებში კვლავ შეიკრიბებიან ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
„ლელოს“ კორ.

## პირველობაც, სპეციალური პრიზიც

**ნორვეგიის** ქალაქ ტონსბერგის მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი ამჯერად უჩვეულო რეგლამენტით გაიმართა. საქმე ისაა, რომ აქ ასაკობრივი ცენზი მტკიცედ არ იყო დაცული და ხშირად მოზრდილთა წინააღმდეგ ჭაბუკი მეტოქეები გამოდიოდნენ და, სხვათა შორის, არც თუ ცუდად.

მაგალითად, 18 წლის მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორმა მჩატე წონაში, თბილისელმა კახა ბარავიმ (ამჯერად ქვემსუბუქში გამოდიოდა) ტოლი არ დაუდო უფროსებს, უფრო მეტიც, მან სამივე ბრძოლა ვადაზე ადრე პირველსავე რაუნდებში დაამთავრა. პირველ შეხვედრაში კი უელსელ ბარი ქილს ნოკაუტით სძლია. პირველობასთან ერთად მასვე მიეკუთვნა სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. მასთან ერთად ასპარეზობაში გამოდიოდნენ არმიელი მოკრივეები. მათ შორის სოხუმელი ალბერტ კარდო-ოღლო, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.



სურათზე: კ. ბარავი.
ა. ვაჩიანის ფოტო.

## ფინალი — უფავორიტებოდ

**მოსკოვი.** ველოსპორტში საერთაშორისო ტურნირი (აეროფლოტის პრიზებზე), რომელიც კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე მიმდინარეობს, რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. ერთ-ერთი სენსაცია გახლდათ 1000 მ. ადგილიდან გიტში სიმფეროპოლელი ალექსანდრე ვალიაევის გამარჯვება — 1.04,799. მოულოდნელი იყო ეს შედეგი იმიტომ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამ სახეობაში, კიეველმა ალექსანდრე კირიჩენკომ იმ დღეს მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა — 1.05,221. ამბობენ, მან გრიპი გადაიტანა და ამის გამო არ იყო ფორმაშიო. მიზეზი, როგორც ხედავთ, საპატიოა.

მეორე სიურპრიზი მოხდა ვაჟთა სპრინტში. ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს ფავორიტებმა მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა და თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა. ფინალური ბრძოლა ჯერ არ გამართულა, მაგრამ ცხადია, რომ ამ სახეობაში პირველობას რომელიმე „ახალბედა“ დაიმსახურებს.

200 მეტრზე გიტში, რომელიც წინ უსწრებს სპრინტერთა ასპარეზობას, ყველას აჯობა სიმფეროპოლელმა ევგენი ტუროვსკიმ. სპრინტში გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატი სწორედ ეს „ახალბედა“ გახლავთ.

## ასე ფონს ვერ გავალთ

**საქართველოს** სამთო მოთხილამურეთა სპარტაკიადებსა და ჩემპიონატებზე იშვიათად ყოფილა მონაწილეთა ასე მცირე რაოდენობა, როგორც ეს ამჯერად იყო რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ბაკურიანში. თუ ასე გაგრძელდა, მომავალში, ალბათ, ამ სახეობაში კრიზისი გარდაუვალი იქნება. ბაკურიანისა და გუდაურის ბუნებრივი პირობები, ისე როგორც ჩვენი რესპუბლიკის სხვა რეგიონები, კვლავინდებურად გამოუყენებელი რჩება.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაზე სულ სამი გუნდი გამოვიდა (თბილისის ორი და ბორჯომის ერთი) და თანაც არასრული შემადგენლობით. მართალია, ამას რამდენიმე პირადი მონაწილე დაემატა, მაგრამ სურათი მაინც ძალზე არასახარბიელოა. სტარტზე რამდენიმე მესტიელი მოთხილამურე ვიხილეთ, მაგრამ ამ უხვთოვლიან რეგიონს თამამად შეეძლო გუნდი რომ გამოეყვანა, რადგან ჰყავს რესპუბლიკის ნაკრების წევრები. არ ჩანდნენ დუშელი და ყაზბეგელი სამთომოთხილამურეები. საკვირველია: გუდაური ხომ ერთის ტერიტორიაზეა, ხოლო მეორისგან, რომ იტყვიან, ხელისგაწვდენაზეა. ამიტომ მათ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე თბილისელებსა და მესტიელებს. ასევე უნდა შევედავოთ ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ქედის, ხულოს, ჯავის, ლენინგორის რაიონებს. თითოეული მათგანის ტერიტორიაზე, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრი თოვლი დევს; შესაფერისი ფერდობები და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობაა. მავანი იტყვის, ალბათ, ახლა საამისო დრო არ არისო: აჭარაში სტიქია მძვინვარებს, ლენინგორსა და ჯავაში კი — ექსტრემისტებიო! ასეა თუ ისე, ზემოხსენებული რაიონების გამოუყენებლობით საქართველოს ზამთრის სპორტი საკმაოდ ბევრს აგებს. ჩვენი მთის რეგიონების ახალგაზრდობა ბოლოსდაბოლოს უნდა დავაყენოთ თხილამურებზე, ჩავაბათ სპორტში.

ახლა ისევ შეჯიბრების თაობაზე. დიახ, რესპუბლიკის სპარტაკიადა დამთავრდა — მასში გამარჯვებისათვის ძირითადად ნაკრები გუნდის წევრები იბრძოდნენ. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ვაჟთა და ქალთა გუნდების შემადგენლობა ერთი წლის წინ იყო ცნობილი. დღეს კი არც ახალი ვინმე გამოჩენილა და არც არავის უძებნია ისინი. თუ ასე წავიდა საქმე ერთ-ორ წელიწადში ალბათ შესარჩევიც არავინ გვეყოლება და გვიან იქნება თითზე კბენანი. დღეს კვლავ უძრავად ყოფნა მომავლის იმედს ვერ შეგვიქმნის.



**შეჯიბრების საბოლოო შედეგები:**

**სუპერ-გიგანტი** (იგი სწრაფდაშვების მაგიერ ჩატარდა):

**ქალები.** 1. ლელა ოგანეზოვა — 1.20,88, 2. მეგი პაპიკაშვილი — 1,24,15, 3. ნონა დიაკონაშვილი — 1.25,02.

**ვაჟები.** 1. ლევან აბრამიშვილი — 1.14.12, 2. მამუკა დვალიშვილი — 1.14,90, 3. გოჩა ჭელიძე — 1.16,63.

**სლალომი — გიგანტი.**

**ქალები.** 1. მეგი პაპიკაშვილი — 2.54,47, 2. ანი ჩახავა — 2.56,18; 3. თამარ მეგრელიშვილი — 2.56,42.

**ვაჟები.** 1. გია ორჯონიკიძე — 2.33,18; 2. მამუკა დვალიშვილი — 2.35,92; 3. ლევან აბრამიშვილი — 2.37,05.

**გუნდური შედეგები:** 1. თბილისი-I. 2. ბორჯომი, 3. თბილისი-II.

**პირიბე გვარლიანი.**
„ლელოს“ კორ.

## ყველაზე სწრაფად

**თბილისელმა** მორბენალმა აიდა ტოროსიანმა გაიმარჯვა მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატში. მან 200 მეტრიანი მანძილი 24,5 გაირბინა და როგორც უკვე ვთქვით, ყველა მეტოქე ჩამოიტოვა. ამასთან, ტოროსიანი 60 მეტრზე რბენაშიც გამოვიდა და მეოთხე ადგილი დაიკავა — 7,72.

გამარჯვებული საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელია (მწვრთნელი ევგენი საპრონოვი).

### ტელეტაიპი — მაიმხველი

**განთქმული** საბჭოთა ფეხბურთელი ლევ იაშინი ამჟამად სერიოზულად ავადმყოფობს. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ლ. იაშინი დააჯილდოვა საპატიო ნიშნით, ეს ჯილდო მას ამას წინათ ბინაზე გადასცეს სსრ კავშირის სპორტსახკომის წარმომადგენლებმა.

**ნიუ-იორკი.** ადგილობრივ სენტრალ-პარკში ჩატარებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელმაც 1126 მონაწილეს მოუყარა თავი, 20 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა ამერიკელმა სტაიერმა ორლანდო კალდერონმა — 1:05.03. ქალთა შორისაც მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ლაიზა ვეილმა გაიმარჯვა — 1:13.31.

**ბელგრადში** გაიმართა ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი იუგოსლავიის ცნობილ კლუბ „ცრვენა ზვეზდასა“ და რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის „სტიაუას“ შორის. თამაში დამთავრდა „ცრვენა ზვეზდას“ გამარჯვებით — 4:1. თამაშის მთელი შემოსავალი გადაეცა რუმინეთის დახმარების ფონდს.

## მიზანი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

**როგორც** ჩვენმა მკითხველებმა იციან, წლეულს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ძიუდოისტთა ტურნირში 1974-1975 წლებში დაბადებული ათლეტები გამოვლენ. სწორედ ამიტომ თელავში ახლახან დამთავრებულ მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკურ პირველობას, ყველაფერთან ერთად, გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა: ნაკრების კანდიდატთა შერჩევა-შემოწმება.

თელავში სასპარეზოდ ჩავიდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ხაშურის, საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენლები, აგრეთვე „შევარდენისა“ და „დინამოს“ ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 300 მოსწავლე-ათლეტი, რაც, თავისთავად, სელექციის კარგ საშუალებას იძლეოდა. მწვრთნელები და სპეციალისტები მონაწილეთა მომზადების დონით კმაყოფილნი დარჩნენ და ბევრი ახალი გვარიც ჩაინიშნეს.

ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: გ. ჩანადირი („მართვე“, თბილისი), ა. ნავალოვსკი, გ. აბრამიშვილი, ჯ. ჯაბიშვილი (სამივე — „მართვე“, ახმეტა), ა. ღვინიაშვილი („მართვე“, თბილისი), მ. ბოტკოველი („მართვე“, თელავი), გ. სამხარაული („მართვე“, თბილისი), ზ. გოგოშვილი და ლ. ჯაფარიძე (ორივე — „მართვე“, თელავი).

ნორჩი ძიუდოისტები მზადებას განაგრძობენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის. ნაკრები გუნდის კანდიდატები თებერვალ-მარტში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის პირველობაში (რიაზანი), საკავშირო ტურნირში (ლენინგრადი) და მარტის ბოლოს ა. კიკნაძის ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში (თბილისი).

**მერაბ ბროძელი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „კიდევ რამდენ ხანს?“

შარშან, 19 დეკემბერს, „ლელოში“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული თბილისის კიროვის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო აუზის ხელმძღვანელობა, რომელმაც ვერ შეძლო სამედიცინო ბლანკების ქართულ ენაზე გამრავლება.

დღეისთვის ეს საკითხი მოგვარებულია, დაიბეჭდა და გამრავლდა აღნიშნული ბლანკები, მუდმივი და დროებითი საშვები.

საერთოდ საქმის წარმოება საცურაო აუზში ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

**თ. მეშველიანი,**
კიროვის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო აუზის დირექტორი.

„ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტი ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკურ სასწავლებელში

# რემონტი... რემონტის დამთავრებისთანავე

ამჯერად ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ ვეწვიეთ ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკურ სასწავლებელს იმ იმედით, რომ კაპიტალური რემონტი, ძირითადად მაინც, დამთავრებული დაგვხვდებოდა, მაგრამ დროულად გაგვახსენდა, რომ ასეთი ოპტიმისტური ნოტები ჩვენთვის განვლილი ეტაპია. როგორც ჩანს, ჩვენს ერთ-ერთ რიგით რეპორტაჟს, რომელსაც „დაკარგული ანტონიმი" ვუწოდეთ და ვამტკიცებდით, რომ ყოველ დასაწყისს დასასრული არ მოჰყვება, მშენებლები დაჟინებით უმერენ მხარს და ახალი მეთოდებითა და საშუალებებითაც ამართლებენ. რემონტი დამთავრებისთანავე თავიდან არის დასაწყები. ამით იქმნება უწყვეტი ციკლი, რომელსაც, ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში მაინც, დასასრული არ ექნება. სამწუხაროდ, ეს მეთოდი ორიგინალურად ვერ ჩაითვლება — მშენებლებმა, როგორც ჩანს, სასწავლებლის წინაკაპრემონტის გამოცდილებაც გაითვალისწინეს. გასაკეთებელი დარჩა უამრავი უხარისხოდ გაკეთებული საქმე. მიმდინარე კაპრემონტის ხარვეზებზე უკვე ვიუწყებოდით (სახურავების თავიდან შეკეთება, ჩამოყრილი ფილების ხელახლა დაგება). ეს ტენდენცია კვლავ ძალაში რჩება.

ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მეორე საძინებელ კორპუსში შექმნილმა მდგომარეობამ. აქ 15 იანვრიდან უკვე შეასახლეს 200 მოსწავლე, მაგრამ...

**ეთერ დავითაშვილი**, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში:

— შენობის ფასადისთვის ჯერ ხელი არავის უხლია. შემოსვლა ვერ მოვასწარით, რომ კედლები დაიბზარა, უმეტესად კარების ჩარჩოებთან. მშენებლებმა ჩვენს თვალწინ ამოლესეს და შეღებეს ბზარები, მაგრამ საღებავი კედელს ლაქებად დაეტყო, საჭიროა ხელახლა მთლიანად შეღებვა. ყველაფერ ამას როგორმე ავიტანდით, მაგრამ, სველ წერტილებში წყალი გავუშვით თუ არა, თითქმის ყველგან გაჟონა. იძულებული გავხდით გადაგვეკეტა. ახლა წყალს სათლებით ვეზიდებით, რომ ანტისანიტარიამ არ დაისადგუროს.

**თამარ ბერიძე**, დამლაგებელი:

— სანიტარიულ კვანძებში ფილებს შიშით ვერ მივკარებივარ — წმენდის დროს ცვივა.

ასეთი ფაქტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა. სამაგიეროდ მშენებლებს ვერც მონდომებას დავუკარგავთ — თითქმის ყველგან „დიდი გემოვნებითაა" შეხამებული სხვადასხვა ფერის ფილები, ერთ კედელზე შეხვდებით თეთრ-ცისფერს, ლურჯს, მწვანეს. როგორც ჩანს, სხვა ფერის ფილები ვერ იშოვეს, თორემ სპექტრთა გამას უფრო გაამდიდრებდნენ. ამის შემდეგ, ცხადია, ენა აღარ მოგვტრიალებია იმის აღსანიშნავად, რომ ბევრგან კაფელი საერთოდ არ არის გაკრული. ამავე ადგილებში მშენებლებმა უარი თქვეს ტრადიციულ, დრომოჭმულ, სწორ, ტრაპისკენ ოდნავ დახრილ იატაკზე. ბევრგან ეს იატაკი ამობურცულია, რაც წყლის დაგუბება-„შენახვას" უწყობს ხელს. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ბევრგან ტრაპი სულაც არ არის, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მშენებლებს განგაშმა მოუსწრო და სასწრაფოდ მიატოვეს სამუშაო.

**ეთერ დავითაშვილი** — კაპიტალური რემონტი, მოგეხსენებათ, ყოველ წელიწადს არ კეთდება, გვინდოდა ალმოსავლეთ მხარეს შენობას ორმაგი ფანჯრები ჰქონოდა, მაგრამ ვინ გაგიგონა, არადა, ქარის დროს აუტანელი სიცივეა, მინები იმსხვრევა...

სამზარეულოშიც შევიხედეთ.

**შალვა ჩიკვილაძე**, შეფ-მზარეული:

— განსაკუთრებული პრეტენზიები არა გვაქვს. ეს არის, კანალიზაციამ გვიმტყუნა. გარდა ამისა, ჭურჭლის სარეცხი ჩანებიდან წყალი პირდაპირ იატაკზე ილვრება. ადრე, როგორც მითხრეს, რემონტის შემდეგ სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, ახლა შეუკეთებიათ. ვნახოთ, წვიმა რომ წამოვა, გაუძლებს თუ არა.

მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ ჩვენი რეპორტაჟის წინა ნაწილი იმ ობიექტებს ეხებოდა, სადაც რემონტი უკვე დამთავრებულია. შეგახსენებთ, რომ სასწავლებლის ყველა ობიექტის რემონტის დამთავრების ბოლო ვადა 15 იანვარი იყო.

ახლა იმის შესახებ, რა მდგომარეობაა სხვა ობიექტებზე.

**ელგუჯა ხოსიაური**, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში:

— საცურაო აუზში საქმე სანახევროდაა დამთავრებული. ჩვენი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, აბაზანაში თბილისურ ფილებს აგებენ, რომელსაც, დიდი-დიდი გამძლეობის ერთი წლის გარანტია აქვს, შემდეგ იშლება, იმტვრევა და მოცურავეთა ტრავმის ძირითადი მიზეზი ხდება. პირველ საძინებელ კორპუსსა და საჭიდაო დარბაზში სამუშაოთა თითქმის 30 პროცენტი ჯერ კიდევ გასაკეთებელია, საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზში — 60, ფარიკაობის დარბაზში — 80. ყველაზე შრომატევადი სამუშაო სტადიონზეა, დღეს მისი ჩაბარება უვადოდაა გამოცხადებული. შეგახსენებთ, რომ სტადიონი მწყობრში უნდა ჩამდგარიყო ჯერ შარშან სექტემბერში, შემდეგ — ოქტომბერში. აღარას ვამბობთ ადრინდელ ვადებზე. სინამდვილეში დღეისთვის საქმის მხოლოდ მეხუთედია გაკეთებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწავლებელმა მთლიანი კონტინგენტის ნახევარი — 200 მოსწავლე მიიღო. ამდენივე შარშან ჩაირიცხა, მაგრამ ყველა მათგანი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სწავლობს. ამ დროს არც ერთი ბაზა არ არის მზად. ამას ისიც ემატება, რომ ტერიტორია „სამუშაო მდგომარეობაშია", რაც ძალაუნებურად ქმნის ანტისანიტარიას. არა გვგონია, მოსწავლეებს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ათხრილ-დათხრილი, სამშენებლო მასალებით მოფენილი „პეიზაჟების" ცქერა. პედკოლექტივის საერთო აზრით, ჯობდა სწავლა მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაწყებულიყო.

სულ მალე (აპრილში) ორი წელი შესრულდება სასწავლებლის კაპრემონტის დაწყებიდან, კარგი იქნება, თუ მშენებლები „საიუბილეო" თარიღებს წერტილს დაუსვამენ. ჩვენი მხრიდან პროგნოზირება ერთობ სარისკო საქმედ მიგვაჩნია. ერთადერთი, რაც შეიძლება ვივარაუდოთ: იქმნება მოჯადოებული წრე, როდესაც მიმდინარე რემონტი ქრონიკულში შეიძლება გადაიზარდოს. ამის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებზე უკვე ვილაპარაკეთ. ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდეთ.

ჩვენს ბოლო რეპორტაჟში ვწერდით, რომ უფრო მკაცრნი და კონკრეტულნი ვიქნებოდით იმათ მიმართ, ვისი მიზეზითაც ჭიანურდება და უხარისხოდ ტარდება რემონტი, მაგრამ ამჯერად მშენებლებითვით გვინდა სიტყვა გავტეხოთ — წუნის „ავტორებს" არ ვასახელებთ. იქნებ ამ ხერხმა მაინც გაჭრას, თუმცა, „ნეტარ არიან მორწმუნენი".

**ჯემალ კახრაძე.**





მეორე საძინებელ კორპუსთან მისასვლელი გზა; ასე გასდის წყალი ჭურჭლის სარეცხ ჩანებს.





სასწავლო კორპუსის ფოიე; ფანჯრის რაფა რემონტის შემდეგ.









მარცხნიდან — სანიტარული კვანძის ტიპიური სურათი; საძინებელი ოთახის კარები; „სანიმუშო" რემონტი; ვის მოვკითხოთ ტრაპი?

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება

## პროექტი

### 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არის რესპუბლიკის პროფესიონალური საფეხბურთო კლუბების, სამოყვარულო გუნდების, ფეხბურთის მუშაკებისა და მსაჯთა კორპუსის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც საერთო კოორდინაციას და ხელმძღვანელობას უწევს საქართველოში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

1.2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა აგებულია სრული საჯაროობისა და დემოკრატიის საწყისებზე. ფედერაციის არჩევით ორგანოებში არჩევნები ხორციელდება თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და პირდაპირი საარჩევნო სისტემის პრინციპებით.

1.4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

1.5. ფედერაცია აღიარებს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მის მიზნებსა და ამოცანებს და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო კავშირში.

1.6. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ანგარიშვალდებულია მხოლოდ მისი წევრების წარმომადგენელთა ყრილობის წინაშე.

### 2. ფედერაციის მიზნები და ამოცანები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიზნად ისახავს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას, ფეხბურთელთა და ფეხბურთის მუშაკთა, აგრეთვე, მსაჯთა ინტერესების განუხრელად დაცვას და ამ მიზნით:

2.1. ანალიზს უკეთებს საქართველოსა და მსოფლიო ფეხბურთის განვითარების ტენდენციებს, ქმნის პირობებს ფეხბურთის განვითარების საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის საჯაროდ და თავისუფლად ჩამოყალიბებისთვის;

2.2. საქმიან ურთიერთობას ამყარებს სამინისტროებთან და უწყებებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და ორგანიზაციებთან, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან;

2.3. ეწევა საგიტაციო-მასობრივ და პროპაგანდისტულ მუშაობას, ყოველმხრივ იყენებს რა ამისათვის პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ფესტივალებს და კონკურსებს, ლექცია-სემინარებსა და სხვა ღონისძიებებს;

2.4. ატარებს რესპუბლიკის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას, აგრეთვე, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებს, რომელთა სტრუქტურასა და ჩატარების წესს აყალიბებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

2.5. ქმნის საქართველოს ნაკრებ გუნდებს, ნიშნავს მათ მწვრთნელებს, უზრუნველჰყოფს ნაკრები გუნდების მონაწილეობას სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში, ასევე მათს სამეცნიერო და სამედიცინო მომსახურებას;

2.6. როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, უშუალო კავშირს ამყარებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებთან (ფიფა, უეფა) და შედის მათ წევრად.

2.7. საქმიან ურთიერთობას ამყარებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საფეხბურთო ფედერაციებთან, კლუბებთან და სხვადასხვა საფეხბურთო ორგანიზაციებთან.

2.8. ზრუნავს ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და ფეხბურთის მესვეურთა მატერიალური, საყოფაცხოვრებო და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

2.9. წარმოადგენს და იცავს ფედერაციის წევრთა ინტერესებს.

### 3. ფედერაციის წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

3.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავის რიგებში ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს კოლექტიური წევრების სახით:

ა) პროფესიულ საფეხბურთო კლუბებს;

ბ) მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს;

გ) ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპორტულ სკოლებს და კომპლექსური სპორტული სკოლების ფეხბურთის განყოფილებებს;

დ) ფეხბურთის დანერგვა-განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აღიარებენ ფედერაციის წესდებას.

3.2. ფედერაციის წევრად მიღებას ახორციელებს პრეზიდიუმი ღია ან ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ფედერაციის წევრები იხდიან პირველად შესატან თანხას (პრეზიდიუმთან შეთანხმების საფუძველზე).

3.3. ფედერაციის წევრ კოლექტივებს უფლება აქვთ:

ა) აირჩიონ თავისი წარმომადგენელი ფედერაციის არჩევით ორგანოებში;

ბ) ფედერაციის შესაბამის ორგანოებში შეიტანონ წინადადებები მათი საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე;

გ) ფედერაციის შესაბამის ორგანოებს მიმართონ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ყველა საფეხბურთო ღონისძიებაში;

ე) დადონ ხელშეკრულებები საკავშირო თუ საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანასთან ყველა საკითხზე, რაც ეხება კლუბისა თუ გუნდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, უცხოელი სპეციალისტებისა და ფეხბურთელების მოწვევას თუ სხვა ნებისმიერ საფეხბურთო საკითხებზე;

ვ) დამოუკიდებლად განკარგონ თავიანთი მატერიალური და ფინანსური სახსრები, გაშალონ თავიანთი ადმინისტრაციული თუ სპორტული საქმიანობა.

ზ) შეაჩერონ პრეზიდიუმის გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც ეწინააღმდეგება კლუბისა თუ გუნდის ინტერესებს და დასვან საკითხი ფედერაციის საექსპერტო კომისიაში წამოჭრილი სადაო საკითხის გადასაწყვეტად.

თ) მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის მმართველ ორგანოებში საკუთარი კლუბისა თუ გუნდის პერსონალური საკითხის განხილვისას;

ი) ისარგებლოს ფედერაციის მატერიალური და ფინანსური ფონდებით.

3.4. ფედერაციის წევრები მოვალენი არიან:

ა) დაიცვან ამ წესდების დებულებები;

ბ) შეასრულონ ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი;

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ყველა საფეხბურთო ღონისძიებაში;

დ) განუხრელად იბრძოლონ ფეხბურთში კორუფციის, პროტექციონიზმისა და სხვა მანკიერი ჩვევების აღმოსაფხვრელად, დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები.

ე) საერთაშორისო კონტრაქტების დასამყარებლად საკითხები შეათანხმონ ფედერაციის პრეზიდიუმთან.

ვ) პრეზიდიუმის მიერ დადგენილ ვადაში გადარიცხონ რესპუბლიკის ჩემპიონატისა და ეროვნული თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის განსაზღვრული თანხა.

ზ) შეათანხმონ და გადაწყვიტონ ფედერაციის პრეზიდიუმთან ფეხბურთელებისა და მწვრთნელების უცხოეთის კლუბებში სამუშაოდ გადასვლის საკითხი.

3.5. ფედერაციის წევრებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გავიდნენ ფედერაციის შემადგენლობიდან, თუკი ფედერაციის წინაშე მათ არა აქვთ არავითარი დავალიანება.

ფეხბურთის ფედერაციის წევრები ფედერაციიდან გაირიცხებიან წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

გადაწყვეტილება გარიცხვის თაობაზე გამოაქვს ფედერაციის პრეზიდიუმს. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუკი მას მხარს დაუჭერს პრეზიდიუმის წევრთა 2/3 მაინც.

3.6. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ საბოლოოა. გარიცხული წევრი კვლავ შეიძლება აღდგენილ იქნას ფედერაციაში გარიცხვიდან მხოლოდ 4 წლის გასვლის შემდეგ. აღდგენის საკითხი წყდება იმავე წესით, როგორც მიღება.

3.7. ფედერაციის წევრის მიმართ პრეზიდიუმმა შეიძლება გამოიყენოს როგორც წამახალისებელი (სიგელით, დიპლომით, პრემიებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება), ასევე დისციპლინური ღონისძიებები (გაფრთხილება, მითითება, საყვედური, ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა, ფულადი ჯარიმა).

### 4. ფედერაციის მართვის ორგანოები

4.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უმაღლესი ორგანოა ფედერაციის კოლექტიურ წევრთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელიც იმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წელს.

4.2. მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერაციის პრეზიდიუმი არაუგვიანეს 6 თვისა ყრილობის დაწყებამდე.

რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეული იყოს პრეზიდიუმის ან საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით ამ ფედერაციის წევრთა არანაკლებ 1/3 მოთხოვნით.

ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში ყრილობა მოწვეულ უნდა იყოს პრეზიდიუმის მიერ არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. რიგგარეშე ყრილობის დელეგატებად ითვლებიან წინა ყრილობის დელეგატები.

4.3. ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს განსაზღვრავს ფედერაციის პრეზიდიუმი.

ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავენ თვითონ ფედერაციის წევრები ადგილებზე თავიანთი შეხედულებისამებრ. ყრილობის მუშაობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 3/4 მაინც.

4.4. ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) ამტკიცებს წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) განიხილავს საქართველოს ფეხბურთის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და განსაზღვრავს ფედერაციის საქმიანობის პერსპექტიულ ამოცანებს;

გ) ისმენს და ამტკიცებს ანგარიშებს მის მიერ არჩეული ორგანოების საქმიანობის შესახებ;

დ) ალტერნატიულ საფუძველზე ირჩევს ფედერაციის პრეზიდენტსა და საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს. პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ვიცე-პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივანს. იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს არ დაამტკიცებს ყრილობა, პრეზიდენტს უფლება აქვს ხელმეორედ წარადგინოს ახალი კანდიდატურები; ამასთანავე, ამტკიცებს ფედერაციის მართვის აპარატის სტრუქტურას;

ე) წყვეტს ფედერაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს;

ვ) წყვეტს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც გამოტანილია ყრილობაზე განსახილველად პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

4.5. ყრილობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია ან ფარული კენჭისყრით.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუკი მას მხარს დაუჭერს დელეგატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

ყრილობის დელეგატებს აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, ხოლო მოწვეულ სტუმრებს — სათათბირო ხმის უფლება.

4.6. ყრილობებს შორის პერიოდში ფედერაციის უმაღლესი ორგანოა პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმის წევრებად ითვლებიან:

ა) პრეზიდენტი (თავმჯდომარე);

ბ) ვიცე-პრეზიდენტები (მათ რაოდენობას განსაზღვრავს პრეზიდენტი);

გ) საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე;

დ) გენერალური მდივანი;

ე) გაზეთ „ფეხბურთის" რედაქტორი;

ვ) პრეზიდიუმის სტრუქტურული ქვედანაყოფების (კომიტეტების) ხელმძღვანელები შერჩევით;

ზ) სხვადასხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისგან ყრილობაზე წარმოდგენილი დელეგატებისგან არჩეული პირები.

4.7. პრეზიდენტს უფლება აქვს ყრილობებს შორის პერიოდში პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანოს დამატებით წევრები თავისი შეხედულებისამებრ.

4.8. ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს პრეზიდიუმის თავმჯდომარეცაა, ხელმძღვანელობს პრეზიდიუმის მთელ საქმიანობას. იგი წარმართავს პრეზიდიუმის სხდომებს, რომელიც მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. თუკი პრეზიდიუმზე საკითხის განხილვისას ხმები თანაბრად გაიყო, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს პრეზიდენტს. პრეზიდენტის აბსენციის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

4.9. ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის ან სამსახურიდან წასვლის სხვა შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას მომდევნო ყრილობამდე ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც პრეზიდიუმი აირჩევს მის წევრთა ხმების 2/3-ის თანხმობით.

4.10. პრეზიდიუმი თავის საქმიანობას ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მისი შტატიანი მუშაკების მეშვეობით. პრეზიდენტი აყალიბებს მმართველ სტრუქტურას (განყოფილებებს), რომლის საშტატო განრიგსა და რაოდენობას ამტკიცებს პრეზიდიუმი.

4.11. პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პრეზიდიუმის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

4.12. ფედერაციის პრეზიდიუმი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) წყვეტს ფედერაციის წევრი კლუბებისა და გუნდების სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობის საკითხს;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერაციის ბეჭდვითი ორგანოს მთავარ რედაქტორს, ამტკიცებს მის სამუშაო გეგმებს;

გ) რესპუბლიკაში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით სწავლობს მატერიალურ-სპორტული ბაზების მდგომარეობას და აყენებს კონკრეტულ წინადადებებს ამ ბაზების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისთვის;

დ) აწყობს სემინარებსა და კურსებს ფეხბურთის მსაჯების, მწვრთნელებისა და სხვა სპეციალისტების მოსამზადებლად და გადასამზადებლად, რის შემდეგაც ანიჭებს სათანადო კვალიფიკაციას. სწავლობს, განაზოგადებს და პრაქტიკაში ნერგავს კვალიფიციური მწვრთნელებისა და სპეციალისტების მოწინავე გამოცდილებას, საჭიროების შემთხვევაში იწვევს სპეციალისტებს უცხოეთიდან, ამასთანავე, უცხოეთში სტაჟირებაზე აგზავნის პერსპექტიულ სპეციალისტებს;

ე) ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ფეხბურთის ნაკრები გუნდების მწვრთნელებს, განიხილავს და ამტკიცებს ნაკრები გუნდების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, ამტკიცებს მწვრთნელების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ვ) შეიმუშავებს ფეხბურთის სფეროში საერთაშორისო კონტაქტების განხორციელებისა და თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს;

ზ) სახელმწიფო ორგანოებისგან დამოუკიდებლად წყვეტს საქართველოს ფარგლებს გარეთ ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და მსაჯების გაგზავნისა და კონტრაქტის გაფორმების საკითხს;

თ) შეიმუშავებს საფეხბურთო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის ძირითად პრინციპებს;

ი) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეთა საექიმო კონტროლს;

კ) ყრილობის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ქვედანაყოფების გარდა თავის შემადგენლობაში ქმნის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებს, მუდმივ და დროებით კომისიებს;

ლ) ქმნის სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს;

მ) ანიჭებს პრემიებსა და სხვადასხვა სახის წამახალისებელ ჯილდოებს საფეხბურთო საქმიანობაში გამოჩენილ პიროვნებებს, სპეციალისტებს, ფეხბურთელებს, წარადგენს კანდიდატურებს შესაბამის ორგანოებში საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მისანიჭებლად;

ნ) აწყობს სხვადასხვა რანგის საფეხბურთო შეჯიბრებებს;

ო) აწყობს ფეხბურთის სფეროში სოციოლოგიურ გამოკვლევებსა და გამოკითხვებს, გულშემატკივართა კონფერენციებს, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებს;

პ) ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას, ბეჭდავს სხვადასხვა სახის საფეხბურთო ლიტერატურას, პლაკატებს, ბუკლეტებს, საკუთარ გაზეთს და ა. შ.;

ჟ) იღებს ძირითად მმართველობით გადაწყვეტილებებს, რაც დაკავშირებულია საქართველოში საფეხბურთო საქმიანობის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან, კერძოდ: კადრების შერჩევა და განაწილება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილება, სასწავლო პროგრამების შექმნა, საკუთარი საწარმოებისა და უცხოურ ფირმებთან ერთად ერთობლივი საწარმოების შექმნა და მათი ხელმძღვანელობა და ა. შ.;

რ) გახსნის სპორტული პროფილის საფირმო-სავალუტო და შერეული ტიპის სხვადასხვა მაღაზიებს უცხოეთის ფირმებთან ერთად;

ს) ატარებს საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე გუნდების „სპორტპროგნოზის", სპრინტის და სხვა გათამაშებებს;

ტ) დამოუკიდებლად ან წილობრივი წესით ახორციელებს სპორტნაგებობების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას;

უ) ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან;

ფ) ეკუთვნის მონოპოლიური უფლება ფედერაციის ნაკრები გუნდების მონაწილეობით ჩატარებული შეჯიბრებების ტელე-რადიო რეპორტაჟებზე. დებს ხელშეკრულებებს ტელე-რადიო კომიტეტთან და სხვა ორგანიზაციებთან რეპორტაჟების მოწყობის თაობაზე;

ქ) საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში შეიტანს წინადადებებს საქართველოს საფეხბურთო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფის მიზნით.

4.13. საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს ყრილობა იმავე წესითა და იმავე ვადით, როგორც პრეზიდენტს. საექსპერტო კომისია ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

4.14. საექსპერტო კომისია:

ა) აკონტროლებს ფედერაციის წესდების, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ) ამოწმებს ფედერაციის პრეზიდიუმისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს ფედერაციის ბიუჯეტის ხარჯვის სისწორეს;

გ) ახორციელებს ფედერაციის წევრთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმიურ შემოწმებას;

დ) ამოწმებს პრეზიდიუმისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დროულად და სწორად განხილვას.

4.15. ფედერაციის გენერალურ მდივანს ევალება პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადება, პრეზიდიუმის საქმის წარმოება.

### 5. ფედერაციის იურიდიული სტატუსი

5.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არის იურიდიული პირის სტატუსით აღჭურვილი სრულ სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ანგარიში ბანკში როგორც საბჭოური მანეთების, ასევე უცხოური ვალუტის სახით.

ფედერაციას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო.

5.2. ფონდის ფინანსური სახსრები შედგება:

ა) ფედერაციის წევრთა პირველადი შენატანების, აგრეთვე, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მიღებული ფულადი სახსრებისგან;

ბ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე, ცალკეულ პირთა შემოწირულობებისგან;

გ) ჩუქებით ან ანდერძით მიღებული ქონებისგან;

დ) საფეხბურთო ღონისძიებების ჩატარებით მიღებული სახსრებისგან;

ე) ისეთი კომერციული საქმიანობის შემოსავლისგან, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და სპორტული ეთიკის ნორმებს;

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრედიტით მიღებული თანხისგან.

5.3. პრეზიდიუმს უფლება აქვს დააწესოს ბილეთების ფასი ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებზე შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

5.4. ფედერაციის ანგრიშზე შემოსული ფულადი თანხა და სავალუტო დანაზოგი სამეურნეო წლის ბოლოს ამოღებას არ ექვემდებარება და ინახება მომდევნო წლისთვის.

5.5. ფედერაცია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ამყარებს სამართლებრივ ურთიერთობებს ხელშეკრულებათა ფორმით.

5.6. დაარსებიდან სამი წლის განმავლობაში ფედერაცია თავისუფლდება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისგან, შემდგომში კი ფედერაცია ვალდებულებას კისრულობს რესპუბლიკის წინაშე გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და პასუხი აგოს სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების წინაშე თავისი ფინანსური და მატერიალური სახსრებით.

5.7. ფედერაციის ფულადი სახსრების ხარჯვა ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

5.8. ფედერაციის ანგარიშზე ირიცხება მთელი ფულადი და მატერიალური შემოსავალი.

### 6. ფედერაციის ფონდები

6.1. ფედერაციას აქვს:

ა) საწესდებო ფონდი (ძირითადი და საბრუნავი საშუალებები):

ბ) შრომის ანაზღაურების ფონდი (ხელფასი, პრემია, მივლინება და ა. შ.);

გ) სათადარიგო ფონდი;

დ) საწარმოო და სოციალური განვითარების ფონდი;

ე) მატერიალური დახმარების ფონდი.

6.2. ფონდების წარმოქმნისა და გამოყენების წესებს ამუშავებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

გადაწყვეტილებას ფონდების გადანაწილების, გადიდების, შემცირების ან ახალი ფონდის შექმნის შესახებ იღებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

ფონდები შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც საბჭოთა მანეთების, ისე უცხოური ვალუტის სახით.

### 7. ფედერაციის ატრიბუტიკა

7.1. ფედერაციას აქვს:

ა) საკუთარი ბეჭედი და შტამპი:

ბ) ემბლემა, ვიმპელი, ნიშნები და სხვა ატრიბუტიკა, რომელთაც ამტკიცებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

7.2. ფედერაციის ატრიბუტიკის ხელშეუხებლობის იურიდიული დაცვა ევალება ფედერაციის პრეზიდიუმს.

### 8. ფედერაციის ლიკვიდაციის წესი

8.1. ფედერაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხს წყვეტს ფედერაციის წევრთა წარმომადგენლების ყრილობა ღია ან ფარული კენჭისყრით დელეგატთა საერთო რაოდენობის 3/4 თანხმობით.

8.2. ყრილობა ადგენს, თუ ვის გადაეცეს მატერიალური და ფინანსური სახსრები ლიკვიდაციის შემდეგ.

ფედერაციის პრეზიდიუმის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

**საორგანიზაციო კომიტეტი.**

# სპორტული თებერვალი

**2-5. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1970-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხაგარეჯო.**

**7-13. კრივი.** საქართველოს პირველობა 1974-1975 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ფინალი. **ბორჯომი.**

**7-20. ჭადრაკი.** საქართველოს პირველობა — I ლიგა. ქალები. **თბილისი.**

**10-15. ბადმინტონი.** საქართველოს თასი. **ქუთაისი.**

**13-18. ცურვა.** საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა, ვაჟები, ქალები, ჭაბუკები და გოგონები 1974 წ. **თბილისი.**

**20.II — 3.III ხაერთაშორისო შა-ში.** საქართველოს ჩემპიონატი. ქალები. **თბილისი.**

**• 17-20. წყალბურთი.** სსრკ ჩემპიონატი I ლიგის გუნდებს შორის (13-24 ადგ.) — I წრე, II ტური. **თბილისი.**

**19-23. ძალოსნობა.** საქართველოს პირველობა 1974-1976 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ჭიათურა.**

**20-23. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხაშური.**

**20-25. ტანვარჯიში.** გ. ეგნატაშვილის ხსოვნის თასი. **თბილისი.**

**22-26. ხამბო.** რესპუბლიკური პირველობა. **ახმეტა.**

**23-28. ტყვიის სროლა** — საქართველოს თასი ვაჟები, ქალები. **თბილისი.**

**30.1 — 5.II — მაგიდის ჩოგბურთი** — საკავშირო ტურნირი საქსპორტსახკომის პრიზზე. **თბილისი.**

**24-27. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა. I ტური, I-II ლიგა. **ბათუმი, აბაშა.**

**25.II — 1.III — ჩოგბურთი.** საქართველოს ზამთრის ღია პირველობა. 1976-1977 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. **თბილისი.**

**27.II — 1.III — ძიუდო.** თბილისის XXI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

**შენიშვნა:** ვადებში აღნიშნული პირველი რიცხვი არის მონაწილეთა შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღეები.

# ალექსანდრე იზვოზჩიკოვი



ჩვენმა საჭადრაკო სკოლამ დიდი დანაკლისი განიცადა — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე დიმიტრის ძე იზვოზჩიკოვი.

დაიბადა 1940 წელს თბილისში, ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა ჯავის რაიონის სოფელ კვაისის საშუალო სკოლაში, საიდანაც საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ სპეციალობით განაგრძო მუშაობა. 1973 წელს ა. იზვოზჩიკოვმა დედაქალაქის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში ჭადრაკის მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, 1975 წლიდან კი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლის წამყვანი მწვრთნელი იყო.

ჭადრაკის სიყვარულმა ა. იზვოზჩიკოვი ცნობილ მწვრთნელთან ვახტანგ ქარსელაძესთან მიიყვანა. შესანიშნავმა პედაგოგმა ბევრი ძვირფასი თვისება ჩაუნერგა აღსაზრდელს — საქმის სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა, პრინციპულობა...

მოსწავლეთა შეჯიბრებებში წარმატებების შემდეგ ა. იზვოზჩიკოვმა თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, გუნდთან ერთად მრავალჯერ იყო შეიარაღებულ ძალთა პირველობების პრიზიორი, 1971 წელს კი — ჩემპიონიც. განსაკუთრებული წარმატებები აქვს მოპოვებული მწვრთნელად მუშაობის დროს. საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში ა. იზვოზჩიკოვისა და მისი კოლეგების მიერ მომზადებულმა გუნდებმა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 1984 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე კი ჩვენი გუნდი ვერცხლის მედლის პრიზიორი გახდა. სწორედ ა. იზვოზჩიკოვთან მუშაობისას მიენიჭა ქეთევან არახამიას საერთაშორისო დიდოსტატის წოდება, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა ქეთევანი მსოფლიო ჩემპიონი გოგონათა შორის. ახლაც, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, მწვრთნელი რუდუნებით ილვწოდა, კალინინგრადშიც გაჰყვა საკავშირო პირველობაზე თავის აღსაზრდელს ნათია ჯანჯღავას, რომელმაც მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ახლა სწორედ ამ დიდი სტარტებისთვის ემზადებოდნენ ოსტატი და შეგირდი, სხვაც ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე დარჩა მას გზაზე დასაყენებელი...

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო კაცი, ნიჭიერი პედაგოგი და მწვრთნელი, რომლის მიერ დატოვებული ღრმა კვალი დიდხანს ემახსოვრებათ რესპუბლიკის მოჭადრაკეებს, კოლეგებს, მოწაფეებს.

**საქართველოს სპორტსახკომი,**
**ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია.**

# მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები

**იტალიის** სპორტულმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმა" (მილანი) 1989 წლის საუკეთესო სპორტსმენად ამერიკელი ველოსიპედისტი გრეგ ლემონდი გამოაცხადა. ლემონდმა მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა — 493. მეორე ადგილზე ამ ანკეტაში გავიდა დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი — 478 ხმა, მესამეზე — მსოფლიოს რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში კუბელი ხავიერ სოტომაიორი — 425 ხმა.

ქალთა შორის წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია შვეიცარიელი სამთომოთხილამურე ფრენი შნაიდერი — 527 ხმა, მეორე ადგილი კი წილად ხვდა დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელს შტეფი გრაფს.

წლის საუკეთესო გუნდად სპეციალისტებმა დაასახელეს „მილანის" ფეხბურთელთა კლუბი — 236 ხმა. მას მცირედით ჩამორჩნენ კუბის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკრები კოლექტივები — 230-230 ხმა.

იუგოსლავიის სააგენტომ ტანიუგ-მა გამოაცხადა კონკურსი ხმელთაშუაზღვის ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ათამდე საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტებმა.

პირველი ადგილი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა იტალიელ მოცურავეს ჯორჯო ლამბერტის — მსოფლიოს რეკორდსმენს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ევროპის ორგზის ჩემპიონს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ცნობილი ფრანგი ველოსიპედისტი ქალი ჟანი ლონგო და მსოფლიო რეკორდსმენი გრძელ მანძილზე რბენაში მაროკოელი საიდ აუიტა.

# „სპორტლოტოს" მოყვარულთათვის!

**როგორც** ვიუწყებოდით, ლატარია „სპორტლოტოს" ტირაჟებში გათამაშდება უფასო საგზურები კეთილი ნების თამაშებზე დასასწრებად, რომელიც წელს გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ახლა გაგაცნობთ საგზურების გათამაშების წესებს:

1. კეთილი ნების თამაშებზე გასამგზავრებელი საგზურები გათამაშდება ლატარიების „სპორტლოტო 6 45"-დან და „სპორტლოტო 5 36"-დან 1990 წლის მე-6-დან მე-12 ტირაჟების ჩათვლით.

ლატარიაში „სპორტლოტო 6 45"-დან გათამაშდება 4 საგზური, ლატარიაში „სპორტლოტო 5 36"-დან — 21 საგზური.

2. ლატარიაში „სპორტლოტო 6 45"-დან საგზურები გათამაშდება იმ ბილეთებში, სადაც ამოცნობილია 6 ნომერი.

იმ შემთხვევაში თუ მე-6-დან მე-12 ტირაჟამდე 6 ნომერი ამოცნობილი იქნება 4-ზე მეტ ბილეთში, საგზურების მფლობელები განისაზღვრება ბილეთების ნომრების გათამაშებით მე-13 ტირაჟში. თუ 6 ნომერი ამოცნობილი იქნება 4-ზე ნაკლებ ბილეთში, ისინი გათამაშების გარეშე გახდებიან საგზურის მფლობელები, ხოლო დარჩენილი საგზურები მე-13 ტირაჟში გათამაშდება მათ შორის, ვინც მე-6 — მე-12 ტირაჟებში ამოიცნობს 5 ნომერს. თუ აღნიშნულ ტირაჟებში ვერავინ გამოიცნობს 6 ნომერს, საგზურები გათამაშდება მე-13 ტირაჟში იმ ბილეთებს შორის, რომლებშიც 5 ნომერია ამოცნობილი.

3. ლატარიაში „სპორტლოტო 5 36"-დან ყოველ ტირაჟში გათამაშდება სამი საგზური იმ ბილეთების ნომრების მიხედვით, რომლებშიც ამოცნობილია 5 ნომერი.

თუ რომელიმე ტირაჟში ვერავინ ამოიცნობს 5 ნომერს, საგზურები გათამაშდება მომდევნო ტირაჟში.

4. ის მოთამაშენი, ვინც 6 ან 5 ნომერს ამოიცნობენ „სპორტლოტო 6 45"-ში და 5 ნომერს „სპორტლოტო 5 36"-ში ვალდებული არიან 3 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ტირაჟის გამართვის შემდგომი ოთხშაბათისა სპორტული ლატარიების ადგილობრივ საწარმოს აცნობონ პირადად ან ტელეფონის საშუალებით ბილეთის ნომერი და სერია, თავისი საპასპორტო მონაცემები, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სამსახურის ადგილი და თანამდებობა, ტელეფონის ნომრები.

5. საგზურების გათამაშება მოხდება სატირაჟო კომისიის მიერ ცენტრალურ ტელევიზიაში ლატარია „სპორტლოტოს" ტირაჟების გათამაშებისას და გადაიცემა ცენტრალური ტელევიზიით 1990 წლის 18 თებერვლიდან (მე-7 ტირაჟი).

6. საგზურები ამგვარად გათამაშდება:

— სატირაჟო კომისია ამზადებს ქაღალდის ვაზნებს, რომლებზეც დაწერილია ბილეთების ნომრები არსებული სიების მიხედვით;

— ქაღალდის ვაზნებს ბარაბანში ათავსებს ნოტარიუსი, სატირაჟო კომისიის წევრი;

— კომისიის თავმჯდომარე რამდენჯერმე დაატრიალებს ბარაბანს, რის შემდეგაც იქიდან ამოიღებს ქაღალდის ვაზნას და გადასცემს გადაცემის წამყვანს. ეს უკანასკნელი ხსნის ვაზნას, ასახელებს მოგებული ბილეთის სერიასა და ნომერს, მისი მფლობელის საცხოვრებელ ტერიტორიას და ბილეთის სერიასა და ნომერს უჩვენებს ტელემაყურებლებს;

— კომისიის წევრები ადარებენ ვაზნაზე დაწერილ მონაცემებს და შეაქვთ ისინი უწყისში, რომელსაც ხელს აწერს სატირაჟო კომისიის ყველა წევრი და მდივანი.

ეს პროცედურა მეორდება იმდენჯერ, რამდენი საგზურიც თამაშდება ტირაჟში.

7. „სპორტლოტო 5 36"-დან მე-13 ტირაჟში საგზურების ძირითადი მფლობელების გარდა განისაზღვრება, აგრეთვე სამი სათადარიგო კანდიდატი იმ შემთხვევისთვის, თუ ძირითად პრეტენდენტთაგან ვინმე რაიმე მიზეზის გამო უარს განაცხადებს გამგზავრებაზე.

კანდიდატთა განსაზღვრისას გათამაშება ჩატარდება ისეთივე წესით, როგორც ეს მე-6 პუნქტშია განმარტებული.

8. საგზურები ფორმდება მხოლოდ მათი მფლობელების სახელზე. საგზურების ღირებულებას იხდით გაერთიანება „სოიუზსპორტლოტო" სარეზერვო მოსაგები ფონდის ანგარიშიდან. ბილეთების კომპენსაცია არ გადაიხდება.

ლატარიის მოთამაშეებს ბილეთების მოგებები გადაეხდებათ დადგენილი წესით.

9. საგზურების მფლობელთა და კანდიდატთა საბუთების გაფორმება მოხდება სსრ კავშირის სპორტსახკომისა და გაერთიანება „სოიუზსპორტლოტოს" წარდგინებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და საქალაქო (მოსკოვი და ლენინგრადი) კომიტეტების მიერ.

10. კეთილი ნების თამაშებზე გამგზავრებისას ისეთ ხარჯებს, როგორიცაა მგზავრობა საცხოვრებელი ადგილიდან მოსკოვამდე და უკან, სასტუმროს ხარჯები, ვალუტაზე გადასაცვლელი ფული, გადაიხდის თავად საგზურის მფლობელი.

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტო" არ ანაზღაურებს სამუშაოდან მოცდენილი დღეების ჯამაგირს.

საგზურის ხანგრძლივობაა 7-10 დღე. ტურისტული ჯგუფის გამგზავრება ნავარაუდევია 1990 წლის ივლისის მეორე ნახევარში.

**„სპორტპროგნოზი", მე-6 ტირაჟის პროგრამა (9-11 თებერვალი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „დინამო" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) | 9.II | 30 | 40 | 30 |
| **ნხლ-ს ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში** | | | | |
| 2. „სენტ-ლუის ბლიუზი" — „ნიუ-ჯერსი დევილზი" | 10.II | 40 | 20 | 40 |
| 3. „პიტსბურგ პინგვინზი" — „ლოს-ანჯელეს კინგსი" | 10.II | 60 | 10 | 30 |
| 4. „მინესოტა ნორტ სტარზი" — „ჩიკაგო ბლექ ჰოუკსი" | 10.II | 30 | 20 | 50 |
| 5. „დეტროიტ რედ უინგზი" — „კალგარი ფლეიმზი" | 10.II | 50 | 10 | 40 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 6. „ჩეზენა" (ჩეზენა) — „ატალანტა" (ბერგამო) | 11.II | 40 | 30 | 30 |
| 7. „ასკოლი" (ასკოლი) — „ბარი" (ბარი) | 11.II | 30 | 60 | 10 |
| 8. „კრემონეზე" (კრემონა) — „ბოლონია" (ბოლონია) | 11.II | 50 | 20 | 30 |
| 9. „უდინეზე" (უდინე) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 11.II | 40 | 20 | 40 |
| 10. „ლეჩე" (ლეჩე) — „ვერონა" (ვერონა) | 11.II | 40 | 50 | 10 |
| 11. „რომა" (რომი) — „ინტერი" (მილანი) | 11.II | 50 | 10 | 40 |
| 12. „იუვენტუსი" (ტურინი) — „ლაციო" (რომი) | 11.II | 50 | 20 | 30 |
| 13. „მილანი" (მილანი) — „ნაპოლი" (ნეაპოლი) | 11.II | 50 | 40 | 10 |

**შენიშვნა:** ნხლ-ს ჩემპიონატში მასპინძლები მითითებული არიან წყვილში პირველად, ამ მატჩების შედეგები კი განისაზღვრება საბოლოო შედეგის მიხედვით.

# ემანსიპაცია ფეხბურთში

**იტალიის** არბიტრთა ასოციაციამ (იაა-მ) ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მსაჯობის ნება დართო ქალებს. ახლა ამ გადაწყვეტილებას მხარი უნდა დაუჭიროს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ.

ამასთან დაკავშირებით ანტონელა ფრაბეტიმ, რომელიც რამდენიმე წელია კალათბურთელთა შეხვედრებს მსაჯობს, თქვა: „კალათბურთში არავითარი პრობლემები არ მქონია. ფეხბურთში მთავარი სიძნელე, ალბათ, ფიზიკურ დატვირთვასთან იქნება დაკავშირებული. იქ უფრო მეტ ხანს და დიდ მანძილზე უნდა ირბინო. სწორედ ამიტომ ჩემს კოლეგებს მეტი ვარჯიში მოუხდებათ".

მამაკაცთა აზრი ამის თაობაზე ერთგვაროვანი არ არის. ჯანი ბრერას — იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის განცხადებით, „ქალები კარგა ხანია გახდნენ ჩვენი პირადი ცხოვრების არბიტრები და ახლა საფეხბურთო სიმპათიების მითვისებას ცდილობენ. ვნახოთ რა გამოვა აქედან. ისე კი ქალები მინდა გავაფრთხილო: ფეხბურთელები მოურიდებელი ხალხია და მათ გამოხდომებს ყურადღება ნაკლებად უნდა მიაქციონ. ვურჩევ აგრეთვე შეიძინონ ყურების დასაცობი საშუალებები".

იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი უფროსი მწვრთნელი ენცო ბეარზოტი სხვაგვარად ფიქრობს: „ქალები საზოგადოებრივ საქმიანობაში თამამნი არიან. ჩემის აზრით, ისინი ფეხბურთის მინდორზეც გამოიჩენენ თავს. არ არის გამორიცხული, რომ ატმოსფერო, მატჩების დროს უფრო მშვიდი და კეთილმოსურნე გახდეს".

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე**

ინდექსი 00655. საქართველოს კპ ცკ- გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00351